№ 213
ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი, 1901 წ.

1877—1901

ივერია

№ 213
ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი, 1901 წ.
რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გაზეთი ღირს:

თვე	ქან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
I
სამშობლო

დრამა 5 მოქმედებად, დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, მდივანი და სხვ. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 7 ოქტომბერს: მზადდება ახალი პიესები: „გაცრუებული იმედები“ კომედია 2 მოქ.

(3—ნ.—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი იაგნაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:
ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.
ძ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.
გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.
ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.
ექიმი-ქალი მ. ს. ბაძრაძე ბავშვებისა—11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
ა. ბ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.
ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგია, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.
ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:
ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ძ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. �აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ბუჰალტერიისა და საკანტორო ცოდნათა
კურსები
ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან
(წელიწადი მეორე)

ორისავე სქესის წერა-კითხვის მცოდნეთათვის და პრაქტიკული კურსები **ნემეცურის ენისა** მოზრდილთათვის.

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში (ჩუღურეთი, საკუთ. სახლი), ყოველ დღე 9—2 საათამდე, კვირაობით 12—2 საათამდე.

(10—ნ.—7)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

მევენახეობის და მეღვინეობის კრების თავმჯდომარე აუწყებს ყველას, ვისაც-კი ჰსურს კრებაზედ მონაწილეობა ვიიღოს, რომ **კრება დაიწყება 14 ოქტომბერს,** დღის 12 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

საჭირო ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამოფენაზედ მიწათმოქმედების განყოფილებაში კრების საქმის მაწარმოებელს ბ-ნს ვიშნევსკის დილის 10—12 საათამდე, ხოლო შემდეგ სამ საათამდე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროში.

(3—200 2)

ფელეტონი

გოდება ებრაელთა

ბაირონით.

ჰგოდებს ისრაილ, მოსთქვამს იუდა,
და ებრაელნი ჰსტირიან ერთხმად,
რომ ბაბილონის, ამიერიდგან,
გადაქცეულან მონებად და ყმად!

მტრები მოყვრულად გარს ეხვევიან;
ეუბნებიან: რასა სწუხართო?
თქვენც ჩვენთან ერთად იმხიარულეთ
და მოწყენილი ეგრე ნუ ხართო!..

ჩვენებურ ჰანგზე მოჰმართეთ ჩანგი!
გადმოაკეთეთ თქვენი ხმებიო
და გვიგალობეთ ქებათა-ქება!..
ვენ ბატონი ვართ ჩ თქვენ ყმებიო!..

დაემორჩილეთ ბედს! ნურას ჩივით!..
ღარავინ გყავთ თქვენ გამგონიო.
ნულარ იგონებთ იერუსალიმს!..
გახსოვდეთ მხოლოდ ბაბილონიო!“

აი, რად არის შეურაცხყოფა!
ამას ეტყვიან მხოლოდ ცოცხლად
მკვდრებს!..
ჩვენი სიონის წმინდა გალობა
უნდა უმღეროთ ჩვენს მოსისხარ—
მტრებს?

არა სიონო, ვერ გიღალატებთ,
სანამდი პირში გვიდგია სული!—
შენი ტახტია... შენი სამარე
შეურყეველად ეს ჩვენი გული.

—

თუმც-კი მონა ვართ დღეს ბაბილონის,
მაგრამ უნებურ და უსულ-გულოთ...
და მაშ საერთო რა გვაქვს ჩვენს
მტრებთან,
რომ მათთან ერთად ვიმხიარულოთ?

—

დასწყდით სიმებო! გაქვავდი ენავ,
მტრების მაქებარ-მადიდებელო!..
წმინდა-წმინდათა ხარ, ეროვნებავ,
თვით ტყვეობაშიც ხელ-უხლებელო!

—

სამგლოვიარო ძაძას ჩავიცვამთ,
თავზე დავიყრით ნაცარსა და მტვერს
და თანა-გრძნობით არ გავახარებთ,
სამოყვროდ მოსულს და განაცხად—
მტერს...

—

ნეტარ არს მხოლოდ ის ებრაელი,
ვინცა მონურად მტერს არ უხრის
თავს
და სამშობლოსთვის თავის-დადებას
სამხიარულოდ გამოისახავს!..

—

ქვეყნის სავნებელს და სასარგებლოს
დაუფარავად ვინც აღიარებს!..
და მისის ქვეყნის მტრის ნორჩ-ყმა-
წვილებს
თავს უჭყლეტს ქვით და ზედ და-
ხარხარებს!!..

აკაკი.

ქიზიყის მწუხარება

(სურათი)

(დასასრული *)

II.

გავცდი თუ არა მეურმეს, დიდ-ძალი ძროხა გამოჩნდა გზაში. პირდაპირ მომავალ ოთხ-ფეხ საქონლისაგან აბუქებული მტვერი ჯანღივით აბნელებდა გზას, და მხოლოდ ახლოდამ გავარჩიე, რომ იმ დიდ-ძალ სხვილ-წვრილ ძროხას, რომელიც მრავალი მუშა, აზატი და საყოლი საქონლისაგან შესდგებოდა, კოხტად შეთოფიარაღებული, ყარაჩოხულად ჩაცმული ჩოდრები მოზდევდნენ რაშივით ცხენებით და თან ისეთი ყოფა-განგაში გაჰქონდათ, თითქოს სირაჯხანის ჩათუქესანის ან შეითან-ბაზრის თოხუმის ქორწილში არიანო. ერთი მღეროდა:

—საყვარელო, ტკბილ-ხმოვანო ებანო,
ნადუდს თაფლში გავლებულო ლებანო,
საყვარელო, ბროლის გულ-მკერდ ღიაო,
დილის ნამით ნამტირალო იაო!
საყვარელო, ხან სამოთხის ჩენიავ,
ხან მტანჯველო ჯოჯოხეთის გენიავ!..

მეორენი შეაქებდნენ მომღერალს ამ სიტყვებით:

—ჰეი! ჰაეეე!.. აფერუუუმ!.. იხარე ჯერო, გახმი მტერო! ჰაჯან, ბიჭოოო!.. შენი გულისა, სარქისჯან, შენიიი!.. ჰაბალაააამ!.. ასა, ტო, ასა! სან იახში ბაშხადულემ, გიჟოჯან!.. აპრეეეს!..

მესამე ამას ამბობდა:

—აბა, ეი! კამპანიავ! სმენა იყოს და გაგონება! თორე, ვალა, თამადა შტრაფს დაგალევინებთ, ლურსაუჩის მადლმა, თუ უვაჟატს არ მიზამთ, ჰო-მეთქი, იმარიუს გიდენ! ვა! ახრა გაჩუმდით-მეტქი-და, თქვე მოლა მასრადინის ტაკიმასხარებო! აი ტერ-ასტვაწ! ეს ინჩხაბარის, ტო?! ახრა კაცათ არ მაგდებთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე! ნამუსიც კაი საქონელია, ეი, ოხრის მამიდებო! გაჩუმდით-მეთქი რაღა, ვა!.. ჰო, ის ემე უნდა მეთქო. ესაც ღმერთმა აღღეგრძელოს ღმერთი თავის ანგელოზებით და გვიმრავლოს ჩვენი დოვლათის სათავე გიჟვრაცებიც.

—მალ ადეც, მარტირუზ! პრავაააა!.. შატლავნეს! ჩოხ იახში! ოჩინ ხაროში, ეი ბოღუ!—ტაშის ცემით მოუწონეს მარტირუზას, რომელიც კირაკოზასთან ალავერდს მივიდა და წურბელასავით მოეწაფა ღვინის ბოთლს.

ბოლოს ყველამ ერთად „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“ შემოსძახეს გამჭრიახედ ქარვა-ლალის ნუნუათი ლაზათიანად გამობრუჟულებმა და დამშორდნენ ლოთი-ფოთურად მოქეიფენი, რომელთა სიხარულის ყიჟინა-ჟრიამული აშკარად ამტკიცებდა, რომ ის დიდძალი რქოსანი საქონელი ნასამედ ფასად ჰყვანდათ ნაყიდი უმოსავლობისაგან გაჭირვების ღრმა მორევში ჩაცვივნილ ქიზიყელებისაგან.

კარგა რომ გავცილდი ჩოდრებს, გზის მახლობლად, წამოსასხამი ნაბდებით ხელდახელ წამოქოხებული ალაჩოხის წინ ბუზებივით ირეოდნენ თავიანთ გძელი ჯოხ-კავებით მწყემსები: მეძროხეები, მეღორეები, მეჯოგეები და დაუცხრომლად ყაყანებდნენ:

—გამარჯობა თქვენი, ჯამაათო! —გასძახათ დაღისტნის მთიდამ ცხენით მომავალმა, შეთოფიარაღებულმა, ყაყაჩოსავით ჩაწითლებულმა მეცხვარემ, რომელმაც ცხენი შეაყენა და შეეკითხათ:

—რა ამბავია, რა ხაბარია, კაცებო?

—გუშინღამ ყაჩაღებმა ცხენები დაიტაცეს და ტიბანური მეჯოგე მოკლეს: ნასალდათარი ყანწარაჰ ბიჭი. ველოდებით: გამამძიებელი და დოხტური უნდა მოვიდესო. ლეკისა და თათრის ყაჩაღებმა გაგვაკიეს, კაცო, მთელი ხიზიხი. ეს რამთენი წელიწადია ვეხვეწებით და ვემუდარებით მთავრობას: ბერდენკის თოფები მოგვყიდეო, მაგრამ სად არის?

—მთაში ამოვიდა ამბავი: ჩაკიბულზედაც ასამღინ ძროხა დაიტაცეს ყაჩაღებმა მაჩხანელებისა, დილიჯნებიც გაცარცვეს ქალაქის გზაზე და სახელ-გათქმული ყაჩაღი ჩოლახ-ბალიაც ჩააძაღლეს მწყემსებმაო, მართალია, კაცებო?

—ეგაც მართალია და ისიც მართალია, რომ შიმშილობაში მკალიასავით დაგვესევიან ოთხსავ-კუთხიდამ შინაური და გარეული ყაჩაღები თუ წუნკალა ქურდები, და

*) იხ. „ივერია“ № 212.

ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲑᲘᲗ:

ნ. ნ. ᲠᲝᲣᲡᲢᲝᲛᲑᲔᲚᲝᲕᲘ. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. ᲨᲐᲠᲐᲠᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ს.

ს. ტ. ᲐᲠᲒᲕᲐᲜᲘᲫᲐᲙᲘ. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 ს. რჩევა-დაოიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲒᲘᲡ

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲡ**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას ᲩᲐ საცვლებზედ ამოჭკერავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა, № 12.

(10—უ—9)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** კვირას, 30 სექტემბერს, დაასაფლავეს განსვენებული ყოვლად პატიოსანი ქართველი გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი. დილიდგანვე განსვენებულის ბინაზედ დიდძალმა ქართველმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, რომელმაც დიდების ეკკლესიამდე ხელით მიასვენა იგი. განსვენებულის კუბოს მრავალი გვირგვინი ამკობდა, რომელთა შორისაც აღვნიშნავთ: „ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისაგან,“ სათავად-აზნაურო სკოლისაგან, დრამატიულ საზოგადოებისაგან, ქართველ ქალთაგან, „ივერიისაგან“ და გვირგვინებს ნათესავთა და პატივისმცემელთაგან. ბინაზედ ყოვლად უსამღვდელო გორის ეპისკოპოსმა კირიონმა ტფილისის სამღვდელოების თანამსახურებით გარდაიხადა მცირე პანაშვიდი, რომლის შემდეგაც ნ. თავდგირიძემ სიტყვა წარმოსთქვა. სამგლოვიარო პროცესსია აქედგან შემდეგ დიდებისაკენ გაემართა.

წირვაზედ, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, სიტყვა წარმოსთქვა მღ. კ. ცინცაძემ და მოკლედ დაახასიათა, თუ განსვენებული რა ძვირფასი და კეთილისმყოფელი ადამიანი იყო ყველა საზოგადო საქმეში. ეკკლესიაშივე პანაშვიდს შემდეგ პოეტმა გრ. აბაშიძემ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„ყოველი სული, ქვეყნად მოვლინებული უნდა ასრულებდეს ციურს სამს მცნებას: ღვთისა და ეკკლესიის სამსახურს, სწირავდეს ტაძარს სანთელსა და საკმეველს, ცოლშვილის ხელის შემწყობი იყოს, გზა ჰეშმარიტებისა და შრომა-მოღვაწეობა აღუნიშნოს და განათლებით უხელმძღვანელოს; თავისს საყვარელს სამშობლოს თავისს ერს, თავის მემამულეთ შემწეობა აღმოუჩინოს შეძლებისა დაგვარად და მისი სიყვარული, სასოება საგალობელ საგნად აღსთქვას.

ეს სამივე მცნება შენმა ჭკვიანმა და მგძნობარე, სასოებით აღვსილმა გულმა პატიოსნად აღასრულა; ამისათვის, ძვირფასო ყველასთვის გიორგი, არ ჩაირიცხები განსვენებულთა რიცხვში, რადგანაც შენი ხსენება, სიყვარული და მოღვაწეობა სამუდამოდ სახლობასა და ერს გულში ექნება აღბეჭდილი. ცად აღვლენილი შენის სახლობისა ვედრება ტკბილად მომღერალ სიმებათ გარდაიქცევა, გიგალობებს შენ და ეგ ვარდები, რომელნიც საკაცეს გიმკობენ, არ დასჭკნებიან, არამედ ყოველთვის გულს შეგიმკობენ ნეტარს ცხოვრებაში და იქიდანაც შეიძლებ მოუვლინო ღაღადი შენს სახლობასა, და ქრისტეს ვედრება, სახლობის მფარველობა, მამულისა და ერის სიყვარული ასწავლო.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო გიორგი, და ნეტარ იყავი საიქიოსაცა.

დასაფლავებს დროს, სხვათა შორის, დაესწრნენ: „ქართველია შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის წევრნი თავმჯდომარითურთ, „დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრნი, ქალაქის მოურავის მოადგილე ბ-ნი შესტაკოვი, საბჭოს ზოგიერთი ხმოსნები, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელნი და მოსწავლენი და მრავალნი სხვ. წირვაზედ გალობდა ორი გუნდი მგალობელთა—კარგარეთელისა და კავსაძისა და სათავად-აზნაურო სკოლისა.

*** 29 სექტემბერს გათავდა საიუბილეო დღესასწაულები. ამ დღეს მთავარ-მართებელმა თ-დმა გოლიცინმა საუზმე გაუმართა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურთა და ქალაქ ტბილისის სამმართველოს წარმომადგენელებს. საუზმის დროს მრავალი სადღეგრძელო წარმოითქვა. მეტად საყურადღებოა სიტყვა დუშეთის მაზრის წინამძღოლისა, კამერ-იუნკრის ყარანგოზიშვილისა, რომელმაც შემდეგის სიტყვით მიჰმართა მთავარ-მართებელს:

„ამ ასის წლის წინად პაპაჩემმა ყაზეგმა გზა უჩვენა რუსებს საქართველოსაკენ. რუსებმაც საქართველოს სამხედრო გზით მოგვიტანეს ცოდნა და განათლება. ეს გზა ჩამოდიოდა დუშეთის მაზრაზე, რომლის წინამძღოლიც მე გახლავართ. მაგრამ, საუბედუროდ, განათლებას ყოველთვის გვერდზე ჩაგვიტარებდნენ ხოლმე, და დღემდე დუშეთის მაზრაში არ არსებობს არც ერთი სასწავლებელი. უმორჩილესად ვითხოვთ ქვენის ბრწყინვალების დახმარებას, რათა მეორე ასი წლის განმავლობაში მაინც თუნდ ერთი სასწავლებელი დაგვიარსოთ დუშეთის მაზრაში.“

თ. დი გოლიცინი დაჰპირდა, რადგან იმედი არა მაქვს, რო ასი წელიწადი ვიცოცხლოო, ამიტომ ვეცდები თქვენი თხოვნა უფრო ადრე შეგისრულოთო. („კავკაზი“).

*** კვირას, 30 სექტემბერს, განსვენებულის გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის დასაფლავების დროს, დამსწრეთა შორის 120 მან. ფული იქმნა შეკრებილი, რომ განსვენებულის ივანე კურესელიძის საფლავს, რომელიც ამ ჟამად სრულიად უპატრონოდ არის დატოვებული, ძეგლი დაადგან და რკინის მოაჯირი შემოავლონ.

კვირას, 8 ოქტომბერს, ამ საქმისა გამო კრებაა დანიშნული, რომელზედაც რამდენიმე კაცს ამოირჩევენ და დაავალებენ, რომ საზოგადოების განზრახვა დროზედ იქმნეს შესრულებული.

*** საერო განათლების სამინისტროს სამოსწავლო ოლქების ყველა მზრუნველებისათვის პროექტი წარუდგენია იმის შესახებ, თუ საშუალო სატეხნიკო სასწავლებლები რა რიგ უნდა იქმნენ შეცვლილნი. სანინისტროს განზრახვა აქვს ალბათ შეაერთოს ოთხ-კლასიანიდგან შვიდ-კლასიანად გადააკეთოს სახელადრეალური სამრეველო სასწავლებლები უწოდოს. პირველს ხუთს კლასში საზოგადო განათლების საგნებს შეასწავლიან, დანარჩენს ორს კლასში რაიმე საგანგებო ცოდნის შეძენას ექნება დათმობილი დრო. სასწავლებელში იქმნება საგანგებო განყოფილებანი: საამშენებლო, სახუროთმოძღვრო, სამეხანიკო და სხ.

*** მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს განზრახვა თურმე აქვს მომავალს წელს სამეგრელოს და სუხუმის ოლქში სანიმუშოდ ათგან გააშენოს ჩაის ბუჩქი.

*** გუშინ-წინ, 1 ოქტომბერს, მცხეთობა დღეს, ტფილისიდგან აუარებელი ხალხი წავიდა მცხეთას სალოცავად, მაგრამ, როგორც ჩვეულებრივად, წელსაც მრავალი უწესოება მოხდა იმისა გამო, რომ რკინის გზას საკმაო რიცხვი ვაგონებისა და მატარებლებისა არასოდეს არ გამოჰყავს ამ დღეს.

*** ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ქალაქისა და ერობათა საზოგადო სამმართველოთ დაუკიროს უთუოდ საზოგადო სასწორები იქონიონ.

*** ახალ-სენაკი. შაბათს, 29 სექტემბერს, აქაურს საზოგადო საკრებულო დარბაზში სენაკის ინტელიგენციას კრება ქონდა, რომელზედაც კაცებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ქალებიც. კრებამ დაადგინა დააარსონ ახალ-სენაკში საჯარო წიგნთ-საცავ სამკითხველო, რომლისთვისაც კომისია კიდევაც აირჩიეს და დაავალეს პროექტი შეადგინონ.

ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ, თუ კი ღრმა-ფსიხოლოგიურის ანალიზით დაასურათებდა ვინმე. მრავალ არიან კამბეჩოვან ქიზიყში პროტოტიპებათ დასასურათებელი ტიპები, რომელნიც ქვეყანას გააცებდნენ თავიანთ სულ-გულ-გონების ათასგვარი საზიზღრობით, მაგრამ „ვახტანგ-მეფე“ კი სულ სხვა ტიპი და მსხვერპლია ყველასჩემია „კულტურულნებისა“.

ჭკვაზე შეშლის დღიდგან მოკიდებული, თვრამეტი წელიწადია ყველა უცნობს ამას ეუბნება: მე „ვახტანგ-მეფე“ ვარ და ვიშოვნი თუ არა ჯარისათვინ სამყოფ „პრავიანტს“, მავანსა და მავან მეფეს შევეომებიო. ერთ მშვენიერ დილას „ვახტანგ-მეფე“ სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლის სავარძელში გამოჭიმულიყო, ყელზე მსაჯულის ჯაჭვ-მენდალი ჩამოეკიდნა და სამჯავროს დარბაზში შესულ მოჩივრებს გულ-მრისხანედ უბრძანებდა თურმე შუბლ-შეკრული: „მომგვარეთ ჩემი ოჯახის დამნელებელი, მე გავასამართლებო!“

„ვახტანგ-მეფე“ ახოვანი წამოსადეგობის, ზორბა მხარ-ბეჭიანი კაცია, რომელსაც ფართო გულ-მკერდზე იმდენი თუნუქის (თავისი გაკეთებული) ჯვრები, მენდლები და ვარსკვლავები აყრია, რომ ძვირფასს დაირის კრიკალსაც ენატრება იმდენი ჟღარუნები, და გენერალი ხომ სიზმარშიაც ვერა ჰნახავს იმოდენა დიდ-კაცობის ნიშნებს. ეს განსამახსოვრო ცხოვრების აღწერა, თუ კი ღრმა-ფსიხოლოგიურის ანალიზით დაასურათებდა ვინმე. მრავალ არიან კამბეჩოვან ქიზიყში პროტოტიპებათ დასასურათებელი ტიპები, რომელნიც ქვეყანას გააცებდნენ თავიანთ სულ-გულ-გონების ათასგვარი საზიზღრობით, მაგრამ „ვახტანგ-მეფე“ კი სულ სხვა ტიპი და მსხვერპლია ყველასჩემია „კულტურულნებისა“.

ჭკვაზე შეშლის დღიდგან მოკიდებული, თვრამეტი წელიწადია ყველა უცნობს ამას ეუბნება: მე „ვახტანგ-მეფე“ ვარ და ვიშოვნი თუ არა ჯარისათვინ სამყოფ „პრავიანტს“, მავანსა და მავან მეფეს შევეომებიო. ერთ მშვენიერ დილას „ვახტანგ-მეფე“ სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლის სავარძელში გამოჭიმულიყო, ყელზე მსაჯულის ჯაჭვ-მენდალი ჩამოეკიდნა და სამჯავროს დარბაზში შესულ მოჩივრებს გულ-მრისხანედ უბრძანებდა თურმე შუბლ-შეკრული: „მომგვარეთ ჩემი ოჯახის დამნელებელი, მე გავასამართლებო!“

„ვახტანგ-მეფე“ ახოვანი წამოსადეგობის, ზორბა მხარ-ბეჭიანი კაცია, რომელსაც ფართო გულ-მკერდზე იმდენი თუნუქის (თავისი გაკეთებული) ჯვრები, მენდლები და ვარსკვლავები აყრია, რომ ძვირფასს დაირის კრიკალსაც ენატრება იმდენი ჟღარუნები, და გენერალი ხომ სიზმარშიაც ვერა ჰნახავს იმოდენა დიდ-კაცობის ნიშნებს. ეს განდეგილი კაცი რამდენიმე წელიწადია ჭიაურის მუხნარიან ბუმბერაზ-ჭალაში ცხოვრობს, ერთ პაწია ანწლის ქოხში შემძვრალი. მთელს თვალ-გადაუწვდომელ ჭიაურს, ალაზნის მარცხენა მხარეს, თავისს საბძანებელს ეძახის, როგორც „დიდებულ მეფისას“ და ჭიაურის წისქვილებიდამ და ალაზნის ხიდის დუქნებიდამ „მახტას იღებს, ე. ი. ყოველ-დღე მიდის თავისი ქოხიბუდრუგიდამ წისქვილებსა და გზის დუქნებში და ბრძანების კილოთი ეუბნება ყველას: „რადგანაც ჩემ საბძანებელში ხართ, მახტა მამეცით, რო პრავიანტი ვიყიდო ჯარისათვინო“, და აძლევენ ისინიც სამადლო ლუკმას. ერთხელ ხიდის მიკიტანმა ახლად ღველფიდამ ამოღებული, ცხელ-ცხელი ხმიადის ნატეხი ციაწოდა და უთხრა: „აჰა, ჩხებიანო, წადი, შენი ოფოფების ჯარს აჭამეო. და რატო შენ ეგ მითხარო, გულ-გამეხებულმა „ვახტანგ-მეფემ“ მთლად მიულეწ-მოულეწა ღვინო-არყის ბოთლები და ბოლოის ჩარექები ჩომბახივით გძელი ჯოხ-გუგუთით, და ცოტას გასწყდა დამცინავი მიკიტანიც არ მოკლა.

ამბობენ: „ვახტანგ-მეფეს“ ვიღაც სომხის ვალი ემართა, რაც რამ ებადა უსულ-ღმერთო სარგებლისსარგებელში და ჯარიმა-„ნეუსტოიკაში“ გაუყიდა მოვალემ, ცოლი დარდით მოუკვდა და თითონ ბოღმისაგან გაგიჟდაო.

ვნახოთ, ეხლა მაინც არ მოგვცემს მთავრობა ბერდენკებს, რო უფრო სახერხოთ მოვიგერიოთ ჩვენი მტერი.

გავცდი თუ არა თავ-მოყრილ მწყემსებს, ჭიაურის წისქვილებიდამ მომავალი და აქლემის ქარვანივით დამწკრივებული, ფქვილის ტომრებით მძიმედ დატვირთული ურმები შეხვდა. ურმებს ვიღაც ცხენოსანი წამიყვანა უკანიდამ და იკითხა:

— გევლო! ღაღოსია ფქვილები?

— ჩემიც არი, საამხანაგოა,— მოსხლეტით უპასუხა ახლად წვერულვაშ ამწვანებულმა კარტუზიანმა ბიჭმა.

— ჰაი-თუ თქვენც კი დაანაღდებთ, ბიჭო, ერთი ათათ მა ათას ნაირათ მონათლულ ფქვილის ცოდვას!

— რატომაც არ დავანაღდებთ, ტიტიავ, ღმართმა ამრავლოს ქართველები, იმათ პური ჰშიანთ, ჩვენ — ფული. ჩვენ იმათ გავაძღობთ, ისინი ჩვენ გაგვაძღობენ. ძმა ძმისათვინ, ამ დღისათვინო, აბა შენ რაღა გესწავლება.

— ხა! ხა! ხა!—გესლიანად ჩაიცინა ცხენოსანმა და დაუმატა: ვაი დედასა მტრისასა! ოქროს მთა-ბარში ქართველებს პური არ უნდა ჰშიოდეთ, მაგრამ იყვნენ ქრისტეს სამართალში პასუხის მგებელნი, რომლებიც ჩვენ ეგრე საქმეს გვიხდიან და გაუხმეთ ქართველებსაც ი უტვინო გოგრა, რო ჭკვა ვერ ისწავლესო!—და ეს იყო კიდეც ცხენოსანმა გულ-ბრაზიანად ამოუტყლაშუნა ცხენს მათრახი და ისე შავარდენივით გაფრინდა ტრიალ მინდორზე, გეგონებოდათ თავისს მერცხალა ლურჯას ენამზიან პოეტის ამ უკვდავ სიტყვებს ჩასძახის ყურშიო: „გასწი, მერანო! შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი! და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!“

გავცილდი ფქვილის ურმებსაც— და ვაქირელი „ვახტანგ-მეფე“ შემომეყარა გზაში.

— ოჰ, ჩემი ძილი შენ! გიმარჯობა შენი „ვახტანგ-მეფე!“ რას იქ, როგორა ხარ?—მივესალამქალამე და ხელი ჩამოვართვი.

— აი, გადღეგძელა ღმერთმა! — მომესალამქალამა ისიც და დაუმატა: ეჰ, ვარ რაღა, როგორცა მკითხულობ. ჩხირი კედელს, სადა ხარ, კაცო, აქამდინ? აი, კიტრივით თავთურა გოჭები უჩემოთ არ შაჭამო, თორე!

— უშენოდ რათ შევჭამ, შე კაი კაცო. შენ მოსვლამდის ხოხბის ხორციც მეყოფა. თუ მიგიგვიანდა კიდე, ალაზანში ლოქოფაჩებს დავიჭერ, შავწყალში—კალმახს და იოლას წავალ. სად მიხვალ?—შეევეკითხე ბოლოს.

— აგეი ფქვილის ურმები ჩემია. პრავიანტი მიმაქვ ჩემ ჯართან,— თავმომწონედ მიპასუხა.

— სად გიყენია ჯარ-ლაშქარი?

— ჭიანტყეჭთან. რახა ღმერთმა მოწყალის თვალით გადმამხედა და პრავიანტი ვიშოვნე.

ღირს-საყურადღებო იქმნებოდა ამ ჭკვა-შეშლილ, „ტყის კაცის“ სამახსოვრო ცხოვრების აღწერა, თუ კი ღრმა-ფსიხოლოგიურის ანალიზით დაასურათებდა ვინმე. მრავალ არიან კამბეჩოვან ქიზიყში პროტოტიპებათ დასასურათებელი ტიპები, რომელნიც ქვეყანას გააცებდნენ თავიანთ სულ-გულ-გონების ათასგვარი საზიზღრობით, მაგრამ „ვახტანგ-მეფე“ კი სულ სხვა ტიპი და მსხვერპლია ყველასჩემია „კულტურულნებისა“.

ჭკვაზე შეშლის დღიდგან მოკიდებული, თვრამეტი წელიწადია ყველა უცნობს ამას ეუბნება: მე „ვახტანგ-მეფე“ ვარ და ვიშოვნი თუ არა ჯარისათვინ სამყოფ „პრავიანტს“, მავანსა და მავან მეფეს შევეომებიო. ერთ მშვენიერ დილას „ვახტანგ-მეფე“ სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლის სავარძელში გამოჭიმულიყო, ყელზე მსაჯულის ჯაჭვ-მენდალი ჩამოეკიდნა და სამჯავროს დარბაზში შესულ მოჩივრებს გულ-მრისხანედ უბრძანებდა თურმე შუბლ-შეკრული: „მომგვარეთ ჩემი ოჯახის დამნელებელი, მე გავასამართლებო!“

„ვახტანგ-მეფე“ ახოვანი წამოსადეგობის, ზორბა მხარ-ბეჭიანი კაცია, რომელსაც ფართო გულ-მკერდზე იმდენი თუნუქის (თავისი გაკეთებული) ჯვრები, მენდლები და ვარსკვლავები აყრია, რომ ძვირფასს დაირის კრიკალსაც ენატრება იმდენი ჟღარუნები, და გენერალი ხომ სიზმარშიაც ვერა ჰნახავს იმოდენა დიდ-კაცობის ნიშნებს. ეს განდეგილი კაცი რამდენიმე წელიწადია ჭიაურის მუხნარიან ბუმბერაზ-ჭალაში ცხოვრობს, ერთ პაწია ანწლის ქოხში შემძვრალი. მთელს თვალ-გადაუწვდომელ ჭიაურს, ალაზნის მარცხენა მხარეს, თავისს საბძანებელს ეძახის, როგორც „დიდებულ მეფისას“ და ჭიაურის წისქვილებიდამ და ალაზნის ხიდის დუქნებიდამ „მახტას იღებს, ე. ი. ყოველ-დღე მიდის თავისი ქოხიბუდრუგიდამ წისქვილებსა და გზის დუქნებში და ბრძანების კილოთი ეუბნება ყველას: „რადგანაც ჩემ საბძანებელში ხართ, მახტა მამეცით, რო პრავიანტი ვიყიდო ჯარისათვინო“, და აძლევენ ისინიც სამადლო ლუკმას. ერთხელ ხიდის მიკიტანმა ახლად ღველფიდამ ამოღებული, ცხელ-ცხელი ხმიადის ნატეხი ციაწოდა და უთხრა: „აჰა, ჩხებიანო, წადი, შენი ოფოფების ჯარს აჭამეო. და რატო შენ ეგ მითხარო, გულ-გამეხებულმა „ვახტანგ-მეფემ“ მთლად მიულეწ-მოულეწა ღვინო-არყის ბოთლები და ბოლოის ჩარექები ჩომბახივით გძელი ჯოხ-გუგუთით, და ცოტას გასწყდა დამცინავი მიკიტანიც არ მოკლა.

ამბობენ: „ვახტანგ-მეფეს“ ვიღაც სომხის ვალი ემართა, რაც რამ ებადა უსულ-ღმერთო სარგებლისსარგებელში და ჯარიმა-„ნეუსტოიკაში“ გაუყიდა მოვალემ, ცოლი დარდით მოუკვდა და თითონ ბოღმისაგან გაგიჟდაო.

მხარიღლივ თოფ-გადაგდებული მივდიოდი ფეხით დიდრონის მთებით შემოკიხულ, ალაზნის ყვითლად გადახრუკულ ტრიალ მინდორზე—ბუმბერაზ-ჭალისაკენ, რომელიც შავ-ზღვასავით გამოიყურებოდა შორიდამ. გვერდით მომდევდა სიცხისაგან ენა გამოგდებული და აქასქასებული მეძებარი ბოთვერა, ცხოვლად მეხატებოდა ოცნებაში გზათ მიმავალს: გაზაფხულის ათასფერად აყვავებული და ხივ-მომფენარე მზით გაღაღანებული მთა-ველ-მინდორი, დილის ნამით ნამტირალი ია-ვარდ-ყვავილები, ბჭყვრიალა ალმასის წინწკლების მსროლავი ჩხრიალა წყარო, სურნელთა-მფენველის ნიავი, ზღვასავით მღელვარე, თავთავ-წაყრილი ოქროს ყანები, ცა ჟუჟუნა მარგალიტის მცრელი და მეწისქვილესავით თავით-ფეხამდე მტვერ-ბუქში ამოგანგლულ-გულ-სევდიანად მივბუტბუტებდ ჩემთვის ამ სიტყვებს:

— მიყვარხარ, მთაო, ტყიანო,
მინდორო ყვავილიანო,
ცხვარ-ძროხით აჭრელებულო,
ხასხასა ყანებიანო,
ნაქარგო ჭალა-ტბებითა,
გორაკებ-ბორცვებიანო,
ჯოხ-კავზე დაყუდებულო,
მწყემსო, ობოლო, ჭკვიანო,
შენც, წყარო, ტინში ნაშობო,
ანკარავ, ტკბილო ხმიანო,
დანამულ ველზე მდგომარე,
ირემო, ლამაზ-რქიანო
და ცაო ლურჯო ლილისავ,
კამკამა მთვარე-მზიანო!

თერგ-დალეული

ᲥᲘᲡ შემუშავება და ნებართვის ᲐᲛᲝᲬᲛᲝᲗᲐᲜᲐ. კომისიაში ქალებიც ურევიან, რომლებმაც ფულების მოგროვება იკისრეს. ამავე კომისიას დაავალა კ. თავართქილაძეს ანგარიში ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲝᲡ უწინდელი სამკითხველოისი.

ეს ერთი კვირაა, აღმოსავლეთით ᲛᲘᲓᲘ და ᲚᲝᲜᲘᲔᲠᲘ ქარი ᲰᲥᲠᲘᲡ, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ᲐᲡᲬᲔᲑᲡᲐ. სიმინდის ჩალა მილეწ მოᲛᲘᲬᲐ, ᲚᲝᲛᲘᲡ მარცვალი მთლად ᲨᲘᲜᲝᲑᲔᲠᲢᲧᲐ. არც სხვა ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲡ ᲓᲐᲐᲧᲐᲠᲐ ᲮᲔᲘᲠᲘ ᲥᲐᲠᲛᲐ...

*** ᲮᲕᲐᲚ, 4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ სამოსამართლო პალატაში, სხვათა შორის, განსახილველად ᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ შემდეგი საქმეები: ᲒᲔᲜᲐᲢᲝᲜ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡᲐ, მელიტონ გაᲒᲣᲜᲘᲐᲡᲘ და ᲢᲘᲛᲝᲗᲔ ᲘᲨᲐᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, რომელთაც ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ ᲰᲥᲠᲐᲓᲔᲑᲐᲗ, და თიმა კემულამიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების 1483 მუხლში აღნიშნულ დანაᲐᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲜᲐ ᲰᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ.

*** ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის სესიას ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲚᲐᲕᲡ საქმე დ. ჭიათურის სამრეწველო ბოქაულად ნამყოფის შტაბს-კაპიტანის ნესტორ არდიშვილისა, რომლისათვისაც გარდაუწყვეტია ზოგიერთ უფლება-უპირატესობის ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲐ და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2½ წლით გაგზავნა. არდიშვილს ᲰᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ სამსახურის დროს სხვა-და-სხვა ბოროტქმედების ᲩᲐᲓᲔᲜᲐ.

*** ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ გამგეობას გარდაცვალებულის ქალაქის ᲛᲘᲣᲠᲐᲕᲘᲡ გ. ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ დახარჯვია 1500 მანეთი.

*** ᲒᲣᲨᲘᲜ დაიწყო კავკასიის სამეფერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში კავკასიის სოფლის მეურნეთა კრებები სხვა-და-სხვა საქმეების გამოსარკვევად. კრებები გასტანს 7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ. ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ სხდომაზედ მოხსენება ᲬᲐᲘ�კითხეს: ნ. ფ. ᲑᲚᲐᲟᲘᲜᲛᲐ—კავკასიაში შვეიცარიულის ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲑᲘᲡ შესახებ, და ა. ა. ᲭᲐᲚᲐᲜᲗᲐᲠᲛᲐ—როგორ უნდა მოეწყოს მერძევეობა ნაწარმოების ᲑᲐᲖᲠᲘᲡ გაᲧᲘᲓᲕᲘᲡ საქმე. შემდეგი კრება დღეს, 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, იქმნება.

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 29 სექტემბერს, სხდომაზედ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა ᲓᲐᲛᲙᲘᲪᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ სასამართლოს ᲒᲐᲜᲬᲘᲜᲔᲜ, რომლითაც ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გუბერნიის ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ ივანე აღგიაშვილს გარდაწყვეტილი ᲰᲥᲝᲜᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡᲐᲕᲔ უფლება-უპირატესობის ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲐ და 4 წლით კატორგაში გაგზავნა. აღგიაშვილის მთავრობას სამსახურის აღსრულების დროს წინააღმდეგობის გაწევა ᲰᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ.

*** 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, ღამის 2 საათზედ, ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ მე-5 ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ მოქალაქის ᲘᲐᲒᲝᲠ მდივანოვის სახლის კიბეს ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲬᲐᲰᲙᲘᲓᲔᲑᲘᲐ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲪᲕᲠᲝᲑᲔᲚᲘ რაზმი მალე მისულა და ᲩᲐᲣᲠᲗᲐᲕᲡ. ᲖᲐᲠᲐᲚᲘ მდივანოვს 500 მანეთამდე ᲐᲦᲬᲔᲚᲘᲐ. სახლი დაზღვეული ყოფილა.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲝ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ 30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მთავარმართებლის საბჭოს წევრის ბ-ნ სულტან-კრიმ-გირეის თავჯდომარეობით კვირას, 30 სექტემბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საგანგებოდ მოწოდებულ დარბაზში შესდგა საიუბილეო კრება ამ საზოგიდოების წევრთა, რომელზედაც მოწვეულნი უყვნენ აგრეთვე 200 კაცი სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენელნი. სულტან-კრიმ-გირეიმ გადასცა დამსწრე საზოგადოებას მთავარ-მართებლის ბოდიში, რომ საიუბილეო კრებას ვერ დაესწრება, მისი მოლოცვა საზოგადოების 50 წლის კეთილ მოღვაწეობისათვის და მისი სურვილი მომავლის წარმატებისათვის. შემდეგ წაკითხულ იქმნენ დეპეშები მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისა, მიწად-მოქმედების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისა, მიწად-მოქმედების დეპარტამენტისა, რუსეთის ეკონომიურის საზოგადოებისა, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიის საზოგადოებისა,—რუსეთის საბაღოსნო საზოგადოებისა, კაზანისა და ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტებისა, საიმპერატორო სამხედრო სამკურნალო აკადემიისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთა და კერძო პირთაგან.

მიწად-მოქმედების მინისტრი მოლოცვის დეპეშაში სწერს: კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ვულოცავ ორმოცდა ათი წლის შესრულების საიუბილეო დღეს და ვუსურვებ მერმისაც ნაყოფიერს შრომას კავკასიის სასარგებლოდ და, მაშასადამე, ჩვენის საერთო დიდებულის სამშობლოს საკეთილ დღეოდ, რომლის წარმატება დამოკიდებულია საზოგადოდ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განვითარებაზე“. სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის სახელით კომიტეტის მეცნიერი მდივანი სწერს: „ულოცავ საზოგადოებას ნახევარ საუკუნის დაუღალავის და ნაყოფიერის მოღვაწეობის იუბილეის დღეს და ვისურვებ მერმისაც მრავალს წელს წარმატებას“.

საზოგადოებას პირადად მიულოცეს ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ საბჭოსა და მცხოვრებთა მაგიერ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა შუსტაკოვმა, თერგის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელმა, კიევის სამეურნეო საზოგადოების მონდობილებით კიევის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა და სხვათა.

შემდეგ სამეურნეო საზოგადოების მდივანმა ბ-ნმა ი. იოსელიანმა წაიკითხა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ სამეურნეო საზოგადოების დაარსების ინიციატივა ეკუთვნის კავკასიის ყოფილს ნამესტნიკს თავ. მ. ს. ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲡ, რომელიც თავის ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲣᲠᲘᲡ ᲥᲪᲔᲕᲘᲗ იახლოვებდა ᲧᲕᲔᲚᲐ საზოგადო მოღვაწეს და თავის თანაგრძნობით ხელს უწყობდა მოქალაქობრივის ცხოვრების მიღებას; თ. ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘ მოსვლისათანავე დარწმუნდა, რომ ამოდენა მხარის, როგორიც კავკასიაა, შეუძლებელია კანცელარიის საშუალებით მართვა-გამგეობა; და ამიტომაც სცდილობდა საზოგადოებაში მოქალაქობრივობის გავრცელებას, საზოგადოებების დაარსებას. საქართველოში ძველადგანვე მისდევდნენ მეურნეობის იმ დარგებს, რომელსაც ეხლაც მისდევენ, მაგრამ მაშინ ტეხნიკა დაბალს საფეხურზედ იდგა. უმთავრესად ამისი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს, მუდამ მტრის მოგერებაბრძოლაში გართულს, დრო აღარ რჩებოდა შინაურ ცხოვრების მოსაწყობად. ურიცხვ მტერთან ბრძოლაში მოქანცულმა თავისუფლების დაკარგვის შიშით თავის ნებითვე საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გადასცა თავის ქვეყანა რუსეთის მფარველობას. მე-XIX საუკუნის დასაწყისიდგან ახალს მართველობას მოჰყვა ცხოვრების ახალი პირობები. თავისი სიტყვა ბ-ნმა იოსელიანმა დაამთავრა მოკლე ისტორიულის ცნობებით იმის შესახებ, თუ როგორ დაარსდა სამეურნეო საზოგადოება 1850 წლის 27 თებერვალს, ვინ იყვნენ მაშინ პრეზიდენტად, საზოგადოების საბჭოს წევრებად, თავმჯდომარედ და მდივან-ხაზინადრად.

ამავე კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა მ-ნმა ა. ა. ᲭᲐᲚᲐᲜᲗᲐᲠᲛᲐ, რომელმაც აღნიშნა სამეურნეო საზოგადოების ღვაწლი სამეურნეო ცოდნათა გავრცელების საქმეში. დამსწრე საზოგადოება დიდის ᲢᲐᲨᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ მიეგება უფროსს აგრონომის ᲑᲝᲚᲢᲐᲠᲝᲡᲔᲚᲡᲙᲘᲡ სიტყვას. ბ-ნმა სტაროსელსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ სამეურნეო საზოგადოების 50 წლის მოღვაწეობა მხოლოდ შესავალია იმისა, რაც ამის შემდეგ უნდა ითავოს და გააკეთოს საზოგადოებამაო. აღნიშნა ეხლანდელი სამწუხარო მდგომარეობა კავკასიაში ერთ მეურნეობის უმთავრეს დარგის—მეღვინეობამევენახეობისა და, უჩვენა რა ისეთი პირობები, რომელნიც ხელს უწყობენ ამ დარგის წარმატებას, განაცხადა მეტი უნარი და ნაყოფიერი შრომაა საჭირო, რომ ხალხი ეხლავე შეუდგეს ყველა იმ საშუალებათა შეთვისება-მიღებას, რომელნიც უკეთეს მომავალს უქადის კავკასიაში მევენახეობის წარმატების საქმესაო. კრება დასრულდა საღამოს 10½ საათზედ.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

Chez les tatars de Derbent à Elisabethpol, par le Baron de Baye. Paris 1901. თათრებთან, დერბენდიდან განჯამდე, ბარონ დეᲑᲐᲘᲘᲡᲐ.

—

„თათრებთან“—ᲔᲒ იმას როდი ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ვითამც ავტორი თათრობის შინაგანს ცხოვრებას მოგვითხრობდეს. თუ მაჰმადიანი არ არის, დიდხანსაც რომ დაჰყოს თათრის სახლში, კაცი მაინც ბევრს ვერას შეიტყობს მის კარჩაკეტილ შინაურობისას და ძლივს თუ მიხვდება მის სულის ვითარებას.

ᲑᲐᲠᲝᲜᲘ ᲓᲔ-ᲑᲐᲘᲪ არ გამოსდგომია მაგეებს. საგნად ᲰᲥᲝᲜᲓᲐ მხოლოდ თათრების გარეგანი, ბაზრის, ცხოვრება დაეხატა და მათის ხელოვნეᲑᲘᲡᲐ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ და ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ მეᲮᲔᲑᲘᲗ თათრის გულსნადები გაეგო. ამისათვის ავტორმა სამი დიდი ქალაქი—დერბენდი, ბაქო და განჯა,—ეს უმთავრესი თათრობის ბუდე,—მოიარა და რაც აქ თვალითა და ყურით შეიტყო, თავისს მამულის შვილებს ჯერ სიტყვით გადასცა და მერე მრავალ სურათებიანის წიგნით გამოაცხადა.

ეს პატრა წიგნი ერთი საჯარო ლექციათაგანია, რომელიც პატივცემულმა მკვლევარმა ჩვენის მხარისამ პარიჟის გეოგრაფიის საზოგადოებაში წაიკითხა. ამ ლექციებისა და ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ მუზეუმის შესახებ ჩვენმა კორესპონდენტმა ამ ორის თვის წინად ვრცლად გვიამბო (ᲜᲐᲮᲔ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ № 166).

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲠᲝᲜ ᲓᲔ-ᲑᲐᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. თუ მრავალმა ჩვენმა ᲜᲐᲙᲚᲣᲚᲔᲕᲐᲜᲔᲑᲐᲛ თავალი მაინც ვერ აუხვია, გასაკვირალი არ უნდა იყოს, თუ პატივცემულმა მეცნიერმა თათრობასაც იმავე სამართლიანის და კეთილის თვალით შეხედა. ავტორის აზრით, მეტად განთქმული სახელი თათრების ბარბაროსობისა და ყაჩაღობისა შემცდარი თუ არა, გაზვიადებულია. კავკასიის თათრებმა თუმცა ზნეჩვეულება, სჯული და სარწმუნოება სპარსელებისაგან გადმოიღეს, თუმცა პოლიტიკურად ᲮᲐᲜ სპარსეთს ᲓᲐ ᲮᲐᲜ ოსმალეთს ემორჩილებოდნენ, მაგრამ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ თავისებური ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ მაინც შეირჩინა. „სისხლის ძიებას ᲮᲐᲦᲘᲠ თავისს სარწმუნობრივს, საზოგადოებრივსა და ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲡ მოვალეობად სთვლის... თათრის ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ სიტყვა წმიდათა წმიდაა და მის გულახდილობას, ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲣᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ზომიერებას თვით ქართველნი აღიარებენ... ამიერ კავკასიის ᲮᲐᲚᲮᲗᲐ შორის ყველაზე ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲜᲘ ᲓᲐ შესწავლულნი თათრები არიან; ყველაზე ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ამ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ღირსებას აფასებენ, თუმცა სხვებზე უფრო მკაცრად ამასა სჯიან. მათი ᲪᲥᲕᲘᲢᲘ გონება, ᲰᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲘᲣᲚᲘᲡ გემოვნება, სწრაფი აღტაცება, მხიარული გუნება და მაღალის ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡ შეგნება,—ეს ყველა ისეთი თვისებაა, რომლითაც თათრებს შეუძლიანთ ჩვენ, ფრანგებსაც, დაგვიახლოვდნენო“.

თუ შეიტყეს თათრებმა ასეთი მათი ქება, დიაღამც ეამებათ, რადგან დიდი ᲮᲐᲜᲘᲐ გადაჩვეულან კომპლიმენტების მოსმენას კულტურულნებისაგან.

ავტორს შეუნიშნავს თათრების მიდრეკილება ოსმალეთს გადასახლების თვის, რომელიც ამ ბოლო დროს აღმოჩნდა, და ეს გარემოება სახელმწიფო ინტერესის მავნებლად მიაჩნია. ᲑᲐᲠᲝᲜ ᲓᲔ-ᲑᲐᲘᲡ აზრით, კავკასიის მკვიდრთა სამს უმთავრესს ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲡ,—ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ, სომხობასა და თათრობას,—თავთავისი შესაბამი ადგილი უჭირავს ჩვენის მხარის საერთო ცხოვრებაში და მათგან ერთის შემცირება ურთიერთის დამოკიდულებას და თანასწორობას დაარღვევსო. „საუბედურად, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲜᲘ და თათარნი ყოველ წლივ ᲰᲙᲐᲠᲒᲕᲔᲜ თავიანთ მამულის ერთს ნაწილს და ამის გამო კლებულობს მათი ძალა და გავლენა. აწინდელის ცხოვრების მოთხოვნილებანი მეტად მოულოდნელად მოევლინათ მათ და მეტად აჩქარებულსა და ძირითადს ცვლილებას აიძულებენ.“

ᲣᲠᲘᲒᲝ არ იქმნება, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ამისთანა ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡ უცხოელისაგან მაინც დაიჯერებდეს, თორემ შინაურს ხუცესს ᲮᲝᲛ შენდობა არა აქვს...

ᲐᲚ. Ს—ᲨᲘᲚᲘ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ.

—

Ს. ᲛᲔᲯᲕᲠᲘᲡᲮᲔᲕᲘ. თუ რამდენად გაიღვიძა აქაურს გლეხკაცობაში სწავლის სურვილმა და როგორის ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲔᲢᲐᲜᲔᲑᲐ მას, ადგილობრივი ორ-კლასიანი სასწავლებლის მოწაფეთა რაოდენობა ამას ცხადად ამტკიცებს. წინა წლებისა რომ არა ვსთქვათ, შარშან, მაგალითად, წლის დამდეგს სკოლაში ითვლებოდა 26 ქალი და 82 ვაჟი, სულ 108 (რამდენიმეც მიუღებელი დარჩა უადგილობისა გამო), თუმცა სკოლა ასზედ მეტ მოწაფეს ვერ იტევს. წლის გასულს შეჰრჩა სკოლას 91 მოწაფე. (17 მა წლის განმავლობაში შესწყვიტა სკოლაში სიარული ავადმყოფობისა და სიღარიბისა გამო).

წრეულს თიბათვიდგანვე დაიწყეს თხოვნა შვილების მიღებისა და ენკენისთვეში იმდენი ᲑᲐᲕᲨᲕᲘ მოაწყდა სკოლას, რომ შეუძლებელი იყო ყველას მიღება, რადგანაც ძველ მოწაფეთაგან 75 ისევ გამოცხადდა. ამიტომ ბავშვების მიღება მასწავლებლებმა მშობელთა თანადასწრებით მოახდინეს, **რომელ**თაც წინადადება მისცეს, **ან კენჭის** ყრით მომხდარიყო მიღ**ება,** ან უფრო მოხრდილები მიეღოთ და ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘ დარჩენილიყვნენ. უმეტესობამ მეორე საშუალება ირჩია.

მთხოვნელთა შორის ᲑᲔᲕᲠᲘ გარეშეც ერია, ე. ი. სხვა სოფლებიდგან და ისეთები, რომლებიც სკოლის შენახვაში მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ სწავლის ფასს იხდიან წელიწადში 5 მანეთს. გლეხკაცობამ ერთხმად უკმაყოფილება განაცხადა ამ გვარ კაცთა შვილების მიღებაზედა და მოითხოვეს—ᲯᲔᲠ ჩვენი შვილები მიიღეთ, როგორც სკოლის შემნახველებისა და ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲝ. ამისგამო ყველა გარეშე კაცთა შვილები და რამდენიმე გლეხკაცისაც დარჩნენ მიუღებელნი, რისგამოც ᲑᲔᲕᲠᲘ გულნაკლულადა და თვალცრემლიანი დაᲑᲠᲣᲜᲓᲐ შინ.

მართალია, სკოლის ფულს გარდა, 2—3 მანეთამდე კიდევ სხვა ეხარჯება გლეხს სასწავლო ნივთების შესაძენად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეხლა უფრო მეტის ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ აძლევენ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ სკოლაში.

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ აქ რომ ᲑᲐᲢ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნატორი ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ და სკოლა ინახულა, გლეხკაცობამ ამ სკოლის ოთხ კლასიანად გადაკეთება ითხოვა. ᲑᲐᲢ. ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲛᲐ სიხარულით აღუთქვა შუამდგომლობა, უკეთუ საზოგადოება იკისრებდა მის შესანახავად მეტი ᲮᲐᲠᲯᲘᲡ გაღებას, მაგრამ ორკლასიანი სკოლის ოთხ კლასიანად გადაკეთება მეჯვრისხევისათვის ცოტა, ვგონებთ, ᲪᲝᲪᲜᲔᲑᲐᲓ უნდა ჩაითვალოს, სამრევლო სკოლა-კი რომ გახსნან, მოწაფეები ორივეს საკმაოდ ეყოლება და სოფლის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდა.

ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘᲡ გვალვის შემდეგ, რომელმაც მხვნელ-მთესველთ ცოტა ხელი მოუცარა მუშაობაზედ, საკმაო ავდრები იყო და საქონლის თურქული, გვალვის გავლენით გაᲩᲔᲜᲘᲚᲘ, გაანძლა.

რთველი კარზედ მომდგარია; მოსავალს ცოტას მოელიან, მაგრამ ტკბილის ფასი 5 მანეთს არ აღემატება, რადგანაც ძველი ღვინო ბევრი დარჩა გაუყიდავი.

თან-ინ-კან

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზ. „ივერიის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქ-ნს ნინო ყიფიანისას, რომელმაც წრეულს ზაფხულს სურამში გამართულ წარმოდგენიდგან შემოსულ ფულის ნახევარი (40 მ.) ჩემდა სასარგებლოდ გადასდო. დიდს მადლობას ვსწირავ აგრეთვე ბ-ნს დ. მაჰავარიანს, რომელმაც ჩემდა სასარგებლოდ წარმოდგენა გამართა ქ. გორში (ივლისში) და წარმოდგენის მთელი შემოსავალი (50 მ.) გადმომცა. მადლობას ვუცხადებ აგრეთვე იმათ, ვინც ბ-ნს მაჰავარიანს წარმოდგენის გამართვაში ხელი შეუწყეს, მაგალითად: ბ. ნ. ბაზიეროვს, ქ-ნს ყორბესაშვილისას და სხვ.

სტუდენტი იურიევის უნივერსიტეტისა
გრიგოლ ნახუცრიშვილი

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

29 სექტემბერი.

თეოდოსია. საერო კრება მხნედ ცდილობს მეღვინეობის გაჭირვებას უშველოს რამე.

სიმლა. ხაბიბულამ ინდოეთის ვიცე-კოროლს ლორდ კერზონს წერილი გაუგზავნა და შეატყობინა, რომ 20 სექტემბერს ემირი გარდაიცვალა და ჩემმა ძმებმა, ჯარის უფროსებმა და ჯარმა იმავე დღეს ემირად აღმიარეს და ერთგულება შემომფიცესო. შემდეგ ხაბიბულა ამბობს: განზრახვა მაქვს, მამი ჩემის გზით ვიარო და იმედი მაქვს, ჩემსა და ინდოეთის მთავრობის შორის მეგობრობა უფრო განმტკიცდებაო.

ბერლინი. დღეს, მეცნიერ ვირხოვის 80 წლის იუბილეის გამო, დილის გაზეთები თანაგრძნობის წერილებს უძღვნიან ვირხოვს. „კლინიშე ვოხენშრიფტ“-მა საღღესასწაულო დამატება გამოსცა. დამატებაში მთელის ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები აქებენ ვირხოვის ღვაწლს და ამობენ, დიდი ამაგი დასდო სამკურნალო მეცნიერებასაო. ზოგიერთ მეცნიერს თავის სამშობლო ენაზე დაუწერია წერილი. თავში პროფესორ ბაჩელის წერილი დაბეჭდილი ლათინურად. სხვა ქვეყნების წარმომადგენელთაგან მომოსულნი არიან: ინგლისიდგან—ლორდ ლისტერი და სელენი, პარიჟიდგან—პროფესორი კორნილი, ჰოლანდიიდგან—ხოკვისი, ვენიდგან—ტოლტი, ბუხარესტიდგან—იანესკუ, მოსკოვიდგან—ბლუმენტალი, ოდესიდგან—პოდვისოცკი და ბევრი სხვა გამოჩენილი მეცნიერი.

პრაგა. სეიმის წევრთა არჩევანები. ქალაქის თემებმა აარჩიეს: 35 მლადოჩეხი, 10 ნემეცი პროგრესისტი, 7—გერმანიელი საერო დასის მომხრე და 10—პანგერმანისტი. ამას გარდა აარჩიეს 1 სტაროჩეხი, 1 სერბი და 2 ჩეხი რადიკალი. ვინ აირჩიეს ბუდვეისში, ჯერ არ იციან. კიდევ ხუთი წევრნი უნდა აარჩიონ. ჯერ-ჯეროობით სულ არჩეულია: მლადოჩეხი—39, პროგრესისტი—20, სახალხო დასის მომხრე—6 და პანგერმანისტი—7.

მიდლბურგი. ბურების უფროსი ლოტერი დამნაშავედ სცნეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. კიტჩენერმა დაამტკიცა ეს განაჩენი. ლოტერს გარდა ხუთ სხვა ბურსაც გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ კიტჩენერმა ეს სასჯელი არ დაამტკიცა და მის მაგიერ საუდამოდ დასაწყნარებელ სახლში დაპატიმრება მიუსაჯა.

კოპენგაგენი. მთავრობის პროექტს ახალ საქალაქო სესხის შესახებ ყველა დასის ორატორი მიემხრო, ამიტომ პალატამაც დაამტკიცა ეს პროექტი. ამის შემდეგ მთავრობის პროექტი დაუყოვნებლივ ასრულდება.

მიდლბურგი. (კაპის ახალშენი) ბურების სარდალი ლოტერი დღეს დილით დასაჯეს.

ბოსტონი. იმის მიზეზს, თუ რისთვის დაამზადეს ორივე სალაშქრო საავადმყოფო — არ ასახელებენ; მაინც ხმა დადის, ეს ღონისძიება სიფრთხილისთვისაა მიღებული, იმ შემთხვევისათვის, თუ ჯარს შეჰკრებენო.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება: გენერალ ფრენჩის ჯარმა ბურების სარდალი შეფერსი დაატყვევაო.

ბერლინი. ვირხოვის პატივსაცემლად დღეს სწაული ახლად აშენებული პატოლოგიურ ინსტიტუტში გაიმართა. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს: უცხოელმა სტუმრებმა, ბერლინის სამკურნალო ფაკულტეტმა, გერმანიის უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა, სტატს-სეკრეტარმა პ�ისადი ვსკიმ, რიხტჰონფენმა, პრუსიის მინისტრებმა შტუდტმა, ტილენმა და მელერმა, ჯარის მთავარ-შტაბის მკურნალმა ლეისგოლდმა და უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების პროფესორებმა. ვირხოვს ძლიერის ტაშის ცემით მიეგებნენ. ვირხოვმა სიტყვა წარმოსთქვა. თითქმის მთელი ორი საათი ილაპარაკა: დაჰხატა პატოლოგიური ინსტიტუტის განვითარების სურათი, აღნიშნა გერმანიელ მეცნიერების ღვაწლი და ამაგი და ამასთანავე ბოლონიის უნივერსიტეტის, მეტადრე პროფესორ ბაჩელის თვალ-საჩინო ღვაწლიც მოიხსენია. უფროსმა ექიმმა შეპრალ მთელი ქვეყნიერობის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა და დღესასწაული მიულოცა ვირხოვს და აღნიშნა, რომ ვირხოვი ყოველთვის ამ აზრით ხელმძღვანელობდაო: „უმაღლესი კანონი—საზოგადო სიკეთეა.“

30 სექტემბერი.

სიმლა. კაბულიდგან იტყობინებიან, რომ აქ მშვიდობიანობა ჰსუფევსო. ავღანისტანის სხვა-და-სხვა ერთა უფროსები კაბულში მიდიან, რათა ხაბიბულას ერთგულება შეჰფიცონ.

ბერლინი. ვირხოვის პატივსაცემად დეპუტატთა პალატაში გამართულმა სადღესასწაულო სხდომამ მშვენივრად ჩაიარა. ვალდეიერი მიესალმა ვირხოვს და გადასცა გერმანიისაგან საპატიო საჩუქარი 50,000 მარკა ვირხოვის დაწესებულებათა საშუალების გასაძლიერებლად. ამის შემდეგ საერო განათლების მინისტრმა შტუდტმა გამოუცხადა, რომ იმპერატორმა უბოძა იუბილიარს დიდი ოქროს მედალი, ჯამასთანავე წაიკითხა იმპერატორის მილოცვის ბარათი.

ბერლინი. იმპერატორი თავის წერილში ამბობს, რომ ვირხოვმა თავის სამეცნიერო შრომით ახალი გზა გაიკვლია მეცნიერებაში; ვირხოვის სახელი სამუდამოდ აღიბეჭდება საექიმო მეცნიერების ისტორიაში არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელს ქვეყანაზედ. დასასრულ იმპერატორი სწერს, რომ ვირხოვისათვის მიბოძებია დიდი ოქროს მედალი „მეცნიერებისთვისა“-ო.

ბერლინი ნაშუადღევს დეპუტატთა პალატაში ვირხოვის პატივსაცემლად გაიმართა დიდი ნადიმი; დამსწრეთა შორის იყვნენ პოსადოვსკი, შტუდტი, ლეიტჰოლდი, სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, მათ შორის ბაჩელლი, ლისტერი და კორლინი.

პარიჟი. გენერლები დარრა, მურლანი, მეზიე და ადმირალი პიუშე საპატიო ლეგიონის ორდენის საბჭოს წევრებად დაინიშნენ.

პარლამენტის სხდომები ცხრა ოქტომბერს დაიწყება.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობამ საჩივრით მიჰმართა ჩერნოგორიის მთავრობას იმის გამო, რომ ჩერნოგორელებმა სრულიად უმიზეზოდ გადალახეს ოსმალეთის საზღვარი და თავს დაესხნენ სოფელ ნოვოე სელოს.

საფრანგეთის რწმუნებულს განკარგულება მოუვიდა დაბეჯითებით მოსთხოვოს ოსმალეთს პასუხი ლორანდოს საქმის შესახებ.

კაპშტადტი. სიკვდილით დასჯა, რომელიც გადაწყვეტილი ჰქონდა ერთს ფერმერს პარკლივესტში, შეეცვალა ათის წლით სავალდებულო მუშაობად; ხოლო მეორე იაკობსდალელ ფერმერს სიკვდილით დასჯა შეუცვალეს გახანგრძლივებით. ფრეიბურგში ფელდ კორნეტად ნამყოფს მიესაჯა ათის წლით დაპატიმრება, მაგრამ სასჯელი სამ წლამდე შეუმცირეს; ფრეიბურგის ერთს ფერმერს სიკვდილით დასჯის ნაცვლად სამუდამო მუშაობა მიუსაჯეს; ორ ახალ-გაზრდა ფერმერს, რომელნიც ორჯერ მიემხრნენ მოწინააღმდეგეებს, მიესაჯათ ჩამოხრჩობა; ვორჩესტერში ერთ ფერმერს ასი გირვანქა სტერლინგი ჯარიმა, ანუ ცხრა თვით დაპატიმრება მიესაჯა, რადგანაც მის ფერმაში იმდენი სურსათი აღმოჩნდა, რომ ერთ კვირაზე მეტს ხანს ეყოფოდათ.

ლონდონი. „ტაიმს“-ს ატყობინებენ, რომ კაბულში მშვიდობიანობაა, მცხოვრებნი კარგ განწყობილებაში არიან ევროპიელებთანაც. დაკის მიდამოებიდგან უფროსები კაბულს წავიდნენ, რათა ახალ ემირს ხაბიბულას ერთგულება შეჰფიცონ.

1 ოქტომბერი.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტარის თანაშემწე ტეცნერი დანიშნულ იქმნა იმავე საბჭოს სტატს-სეკრეტრის თანამდ. აღმასრულებლად და სახელმწიფო მდივნის საქმეთა განყოფილების გამგედ.

პეკინი. ჩინეთის რწმუნებულთ გადასცეს ესპანიისს ელჩს კოლონ ჩანს, სადიპლომატო კორპუსის დეკანს, სამხედრო ჯილდო-ჩეკი 450 მილიონ ტაელზედ მეტისა.

ასხაბადი. 29 სექტემბერს სამხედრო მინისტრი საგანგებო მატარებლით მერვში წავიდა.

მოსკოვი. დღეს აქაურმა სამეცნიერო საზოგადოებებმა, ვირხოვის პატივსაცემად, სადღესასწაულო სხდომა გამართეს. პროფესორებმა შერვინსკიმ, ოგნევმა, ანუხინმა, სინიცინმა და მკურნალთა საზოგადოების თავმჯდომარემ იგნატიევმა წაიკითხეს სიტყვები, რომელშიაც დაახასიათეს ვირხოვი, როგორც მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ადამიანი. ვირხოვს დეპეშა გაუგზავნეს. რუსეთის წარმომადგენელმა ბლუმენტალმა დეპეშით შეატყობინა: ვირხოვმა მომანდო გადმოქცეთ გულ-წრფელი სალამი და მადლობა, და დაუმატა, დიდად ნასიამოვნი ვარ რუსეთის თანაგრძნობით და, თუმცა მოხუცი ვარ, ვფიქრობ რუსეთში მოსვლას პარადად მადლობის გამოსაცხადებლადაო.

ხარკოვი. 8 ციგანმა, რომელთაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, სურვილი განაცხადეს საკასაციო საჩივრის გადატანისა, რომელსაც ვადა ხვალ გასდის.

ოდესსა. აქაური სამკურნალო საზოგადოებანი დღესასწაულობენ ვირხოვის დაბადებიდგან 80 წლის შესრულებას. სიტყვები წარმოსთქვეს. იუბილიარს მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს.

ვილნო. ცნობილი საქმე ბლონდესისა მეორედ ოლქის სასამართლოში 9 ნოემბერს გაირჩევა.

პრეტორია. 2 სექტემბრიდგან დატყვევებულ და სამუდამოდ განდევნილ იქმნენ კიდევ სამხრეთ-აფრიკიდგან 18 უფროსი ბურებისა. ენდი ბოტა გადავიდა მდ. ბაზიანს და ჩრდილოეთისაკენ მიდის.

ტულონი. გრაფ დელავო გუშინ, საღამოს 11 საათზედ, ჰაეროსტატით ალჟირისაკენ გაემართა.

სალონიკი. საფრანგეთის ვიცე-კონსულს გუშინ მონასტირში ოსმალეთის ჯარის-კაცები დაეცნენ. დანაშავენი დაუყოვნებლივ შეიპყრეს და დააპატიმრეს. რაზმის უფროსი ვიცე-კონსულთან წავიდა ბოდიშის მოსახდელად.

2) ოქტომბერი

ქრისტიანია. სტორტინგმა მიიღო წინადადება ბაჟის გადიდების შესახებ: დაუმზადებელ თამბაქოზედ 175-დგან 225-მდე, საწევ თამბაქოზედ—210-დგან 270-მდე, სიგარაზედ—500-დგან 600-მდე. კანონი დაუყოვნებლივ ძალაში შევა.

ტარკასტადტი. 1 ოქტომბერს დაჰხვრიტეს ბურები უფროსი-შეფანი.

ვიტებსკი. დღეს, გუბერნიაში საერობო უფროსთა ინსტიტუტის შემოღების გამო, გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. დაესწრნენ: გუბერნატორი, მოხელენი. საერობო უფროსებმა ფიცი მიიღეს.

მოგილევი. გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი, რომლის შემდეგაც საერობო უფროსებმა ფიცი მიიღეს.

ეკატერინესლავი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით ვირხოვის პატივსაცემად სადღესასწაულო სხდომა იქმნა გამართული სამკურნალო და ამის წინად დაარსებულ სამეცნიერო საზოგადოებათა.

ყაზანი. უნივერსიტეტის დარბაზში, მკურნალთა საზოგადოების წლიურს კრებაზედ, საპატიო წევრის მეცნიერის ვირხოვის პატივსაცემად, სადღესასწაულო სხდომა გაიმართა.

ვენა. დღეს გამოცხადებული იქნება განსვენებულ ერცგერცოგის რუდოლფის ქალის ელისაბედ-მარიამის და პრინცის ვინდიშგოცის დანიშვნის ამბავი.

პეკინი. იმპერატორის ბრძანებით არსდება სამი ახალი სახელმწიფო თანამდებობა და იქმნება მრავალ წვრილ მოხელის თანამდებობა.—საკითხი უცხო ქვეყნელთა უბნების შესახებ პეკინში განხილულ იქმნება სავაჭრო ხელ-შეკრულებათა გადათვალიერების გამო.

ბიარიცი. რუსეთის ეკკლესიაში ანდერძი აუგეს თავ. ვლად. ბარიატინსკის, რომელიც 21 წლისა გარდაიცვალა. განსვენებული ბიძაშვილი იყო თავად ალექსანდრე ბარიატინსკისა და დანიშნული იყო თავად იურიევსკის ქალზედ. გვამს პეტერბურგში წაასვენებენ.

განცხადება

ვაძლევ

სასამართლოს საქმეებისა გამო რჩევებს, ვწერ თხოვნებს და ყოველ გვარ საჩივრებს; აგრეთვე ვკისრულობ საქმეების წარმოებას სასამართლოებში, ღარიბებს უსასყიდლოდ. მე-5 ნაწ. კათოლიკეთა ქუჩა, სახლი № 25.

(3—215—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Октября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.